ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-6323264001**
თარიღი: **21/09/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ ჯამბურიას,

ამავე საკრებულოს წევრის, იურიდიულ, ადამიანის

უფლებათა დაცვის,საპროცედურო და სამანდატო საკითხთა

კომისიის თავმჯდომარის მანანა სირბილაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

ბატონო ნუგზარ,

წარმოგიდგენთ ანგარიშს, საკრებულოს წევრის, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მიერ, 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე შესრულებული სამუშაოების შესახებ.

ამ პერიოდში ჩატარდა იურიდიული კომისიის 7 (შვიდი) სხდომა. აქედან, ერთი ჩატარდა გაერთიანებული, ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიასთან ერთად. სადაც განხილულ იქნა საკითხი - სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ.

კომისიის მიერ განხილულ იქნა 33 საკითხი. აქედან, საკრებულოს სხდომაზე გავიდა 33 (ოცდაცამეტი) . ყველა საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი.

როგორც საკრებულოს წევრი, საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, ვარ ინფრასტრუქტურის კომისიის წევრიც. სადაც აქტიურად ვიღებ მონაწილეობას საკითხთა განხილვაში. გარდა აღნიშნულისა, იურიდიულ დახმარებას ვუწევ ჩვენს მუნიციპალიტეტში მოქალაქეებს. არ ვარ მაჟორიტარი დეპუტატი , მაგრამ აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ სხვადასხვა აქტივობებში.

ვარ გენდერული საბჭოს წევრი. როგორც საბჭოს წევრი, აქტიურად ვიყავი ჩართული საბჭოს საქმიანობაში, განხორციელებულ პროექტებსა და ტრენინგებში.

ტრენინგები :

,,სამტრედიის რაიონული პროკურატურა” - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში ,,არა ფემიციდს“.

,,დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების ქსელი“ - ძალადობა, დაცვის მექანიზმები და ელექტრონული სამაჯურის გამოყენება.

,,რეგიონული განვითარების მხარდაჭერის ცენტრი“ - აუნაზღაურებელი შრომის თანაბარი გადანაწილება და კაცების ჩართულობა.

,,სახალხო დამცველი“ - ,,სექსუალური შევიწროვება და დისკრიმინაცია.

ასევე, ვესწრებოდი ,,ფონდი სოხუმი“, ა(ა)იპ რეგიონული ინიციატივების ცენტრი ,,ნათელი მომავალი“ და ა(ა)იპ ,,საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება“ს მიერ გამართულ შეხვედრებს.

მონაწილეობას ვღებულობდი, ყველა იმ ღონისძიებასა და აქციაში, რომელსაც მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა (ქალთა დღე, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე...)

აქტიურ მონაწილეობას ვღებულობ და ჩართული ვარ მერიაში არსებულ უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიაში.

ასევე ვარ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული კოლეგიური ორგანოს-პირის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის წევრი. ჩატარდა კომისიის 5 სხდომა, სადაც ცხოვრების ფაქტი დაუდგინდა 9 მოქალაქეს.

ასევე ვარ, მერთან არსებული თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე, საკუთრების უფლების აღიარების კომისიის წევრი.

პატივისცემით:

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე